

კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრატორი 040159  
პროფესიული სტანდარტი

## I სფეროს აღწერა

კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრატორი წარმოადგენს ინფორმატიკის დარგობრივი სფეროს პროფესიულ კვალიფიკაციას.

კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრატორის მოვალეობაა არსებული ქსელური ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საჭიროების შემთხვევაში ფიზიკური ქსელის და ლოგიკური ტოპოლოგიის დაგეგმვა, ქსელური აპარატურის შერჩევა, ინსტალაცია და გამართვა, ქსელის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ქსელური ოპერაციული სისტემების გამართული მუშაობის მხარდაჭერა და სხვადასხვა სერვისების უზრუნველყოფა.

ქსელის ადმინისტრატორის მუშაობის ხარისხზე დამოკიდებულია ქსელური ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლებთან შეუფერხებელ მუშაობას. ქსელის ადმინისტრატორს უნდა ახასიათებდეს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალხრივი თეორიული ცოდნა, რომელსაც იყენებს პრაქტიკაში, შეუძლია მოსალოდნელი რისკების და პრობლემების წინასწარ განსაზღვრა და მათი თავიდან აცილება, პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში სწრაფი ანალიზის გაკეთება და ოპერატიული რეაგირება.

პირს, რომელს პროფესიული კვალიფიკაციაა კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრატორი, უნდა ახასიათებდეს კარგი ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი, გააჩნდეს პროფესიულ სიტუაციებში სწორად და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი, რათა გადალახოს საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემები.

ქსელური ტექნოლოგიების მრავალფეროვნებისა და მუდმივი განვითარების პირობებში, ამ კვალიფიკაციის მქონე პირი მუდმივად უნდა ზრუნავდეს თვითგანათლებლასა და განვითარებაზე.

კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის პროფესიული სტანდარტი შემუშავებულია CISCO-ს ქსელური აკადემიის ოფიციალური სასწავლო კურსის სტანდარტების საფუძველზე.

## II დასაქმების სფერო

კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრატორის კვალიფიკაციის მფლობელს შეეძლება იმუშაოს საჯარო ან კერძო სტრუქტურაში სხვადასხვა რანგის ქსელის ადმინისტრატორად, აგრეთვე შეუძლია დასაქმდეს კომპიუტერულ სერვის ცენტრებში ქსელური პრობლემების დისტანციური უზრუნველყოფის სპეციალისტად.

### III. დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება
- მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა
- მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა
- კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საბაზისო მოდულის მასწავლებელი სასურველია იყოს CISCO-ს აკადემიის ინსტრუქტორი.

### IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

კომპიუტერული ქსელები და სისტემების ადმინისტრატორის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი თითოეული საფეხურისათვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ყოველი საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. აქედან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ეთმობა მინიმუმ 40%. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ენიჭება კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრატორის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია.

კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. აქედან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ეთმობა მინიმუმ 40%. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ენიჭება კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია.

კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. აქედან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ეთმობა მინიმუმ 40%. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ენიჭება კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია.

V კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრატორის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

|                                     |   |  |
|-------------------------------------|---|--|
| <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> | <p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p> | <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- კომპიუტერის არქიტექტურა, კომპიუტერული ინჟინერიის საფუძვლები;</li> <li>- ოპერაციული სისტემები და მათთან მუშაობის პრინციპები;</li> <li>- აპარატურული და პროგრამული გაუმართაობების ტიპები, მათი განსაზღვრისა და აღმოფხვრის მეთოდები;</li> <li>- პერიფერიული მოწყობილობების აგებულება, დანიშნულება და მათი მუშაობის პრინციპები;</li> <li>- ქსელის ძირითადი მახასიათებლები და მისი მუშაობის პრინციპები;</li> <li>- კომპიუტერული ქსელის არქიტექტურა, ტოპოლოგიის ტიპები, მათი უპირატესობები;</li> <li>- ქსელური ინფრასტრუქტურის სტანდარტები, ტიპები და პროტოკოლები;</li> <li>- ინფორმაციის გადაცემის აღწერა ქსელური TCP/IP და OSI მოდელების დონეების მიხედვით.</li> <li>- ქსელური აპარატურის დანიშნულება (როუტერი, კომუტატორი, მოდემი, ჰაბი, ბრიჯი) და ბაზისური კონფიგურაცია;</li> <li>- ქსელის დიზაინი ტიპები და სტანდარტები;</li> <li>- ქსელური ტექნოლოგიების, პროტოკოლების კონფიგურაცია და აპარატურის ინსტალაცია;</li> <li>- მონიტორინგის ტექნოლოგიები და პროტოკოლები;</li> <li>- ქსელური ინფრასტრუქტურისთვის დამხმარე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება;</li> <li>- ქსელური და სისტემური უსაფრთხოების წესები;</li> <li>- ქსელურ რესურსებზე წვდომის განსაზღვრა, ქსელის ოპტიმიზაცია და ძირითადი უსაფრთხოების დანერგვა;</li> </ul> |
|-------------------------------------|---|--|

|   |   |  |
|---|---|--|
| <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> | <p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p> | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- კომპიუტერის ტიპების და მკომპლექტებლების გარჩევა, მათი შესაბამისობის და თავსებადობის გარკვევა;</li> <li>- ოპერაციული სისტემების ტიპების გარჩევა, ინსტალაცია, კონფიგურირება და ოპტიმიზაცია;</li> <li>- გაუმართაობების აღმოჩენა, მიზეზის დადგენა და აღმოფხვრა;</li> <li>- დამხმარე და სამომხმარებლო პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნისამებრ შერჩევა და ინსტალაცია;</li> <li>- პერიფერიული მოწყობილობების გარჩევა და მათი პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფა;</li> <li>- ქსელური სადენის და კონექტორების ტიპების გარჩევა;</li> <li>- კონექტორის დამაგრება შესაბამისი პრინციპებისა და სტანდარტების გამოყენებით;</li> <li>- საკომუნიკაციო კარადის (რეკი), ქსელის განსართის (სოკეტის), ნუმერაციის, პაჩპანელის ტიპების არჩევა.</li> <li>- ფიზიკური ტოპოლოგიის დახაზვა;</li> <li>- ქსელური ინფრასტრუქტურის სტანდარტებისა და პროტოკოლების შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;</li> <li>- პროტოკოლების და ტექნოლოგიების არჩევა;</li> <li>- ქსელური აპარატურის შერჩევა;</li> <li>- უსადენო ქსელის დამონტაჟება და კონფიგურირება;</li> <li>- ქსელის გაუმართაობების მიზეზის დადგენა და საჭიროებისამებრ, მარტივი სერვისის განხორციელება.</li> </ul> |
| <p><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>            | <p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>  | <p>ტექნიკური დათვალიერების ან/და კლიენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია წარმოქმნილი პრობლემის მიზეზების გააზრება და აღმოფხვრა. ქსელის სტრუქტურის გააზრება; საჭირო მოწყობილობებისა და მასალების განსაზღვრა; ქსელში შესასრულებელი ოპერაციების გათვალისწინებით სამონტაჟო-საინსტალაციო სისტემების განსაზღვრა; საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლია ინტერნეტის ან ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებით.</p>   |

|                                  |  |  |
|----------------------------------|--|--|
| <p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p> | <p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p> | <p>შეუძლია პროფესიულ თემებზე საუბარი კლიენტებთან, კლიენტის მოთხოვნების მოსმენა და მისგან სრულყოფილი ინფორმაციის მიღება. საჭიროების შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამოსამართება სხვა სპეციალისტისთვის, შეუძლია კლიენტის პრობლემის აღწერა და წერილობით გადმოცემა.</p> <p>ქსელის დაგეგმასთან დაკავშირებით, შესაბამისი პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი მოსაზრებების წარდგენა კოლეგებთან ან ხელმძღვანელობასთან.</p> <p>შეუძლია ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.</p> <p>აქვს ჯგუფში მუშაობის და კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი.</p> |
| <p><b>სწავლის უნარი</b></p>      | <p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>   | <p>ქსელური ტექნოლოგიების მრავალფეროვნებისა და მუდმივი განვითარების პირობებში, დამოუკიდებლად შეუძლია ქსელურ აპარატურასა და სისტემებთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება, გარჩევა და შესწავლა.</p> <p>ასევე გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრისით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.</p>  |
| <p><b>ღირებულებები</b></p>       | <p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>   | <p>გაცნობიერებული აქვს პროფესიულ საქმიანობაში იურიდიული და ეთიკური ასპექტები. იცავს უსაფრთხოების წესებს.</p> <p>ქსელური რესურსების განაწილებისას ითვალისწინებს მომხმარებელთა უფლებებს, კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს მათ სურვილებს.</p> <p>პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.</p>   |

კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღწერი

|   |  |   |
|---|--|---|
| <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>               | <p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>   | <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ვირტუალური ქსელების აგება(VLAN) და ადმინისტრირება</li> <li>- ლოკალურ ქსელებში საიმედოობის ამაღლების მიზნით სარეზერვო კავშირების აგება სპეციალიზებული წესების და პროტოკოლის(STP) გამოყენებით</li> <li>- უკაბელო ქსელების აგება და მართვა</li> <li>- გლობალური ქსელური სერვისების გამოყენება და მართვა(PPP,Frame Relay)</li> <li>- ქსელში წვდომის კონტროლის შექმნა და მართვა</li> <li>- ვირტუალური კერძო ქსელების აგების წესი და მუსაობის პრინციპები</li> <li>- ქსელში არსებული პრობლემების დადგენა და მოგვარება, რომელიც დაკავშირებულია, როგორც აპარატურული ასევე კონფიგურირებისას წარმოქმნილი პრობლემის შედეგად.</li> <li>- დამისამართების ორგანიზება</li> <li>- დამოუკიდებლად საშუალო და მცირე ზომის კორპორატიული ქსელის დაგეგმვა, ადმინისტრირება და მონიტორინგი,</li> <li>- მითითებების გაცემა და კოორდინაცია მე-3 დონის სპეციალისტებისთვის</li> <li>- ქსელური ოპრეციული სისტემების ლინუქსის და ვინდოუსის ოპერაციულ სისტემების ძირითად სერვისები</li> <li>- ქსელური ოპრეციული სისტემებზე ინსტალირებილი ცნობილი სერვისების მართვა და კონფიგურირება(WEB, Mail, FTP სერვისები)</li> <li>- სერვისებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა Ms Project Professional გამოყენება პროექტების დადგეგმვა და მართვა</li> </ul> |
| <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> | <p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p> | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მცირე და საშუალო ზომის კორპორატიული ლოკალური ქსელების აგება, სადაც მოითხოვება სტანარტული სერვისები და უსაფრთხოება.</li> <li>- ამავე ტიპის ორგანიზაციის ქსელის ადმინისტრირება</li> <li>- ოპრეციული სისტემების ინსტალაცია და ძირითადი სერვისების მართვა</li> <li>- დომენური სისტემის შექმნა და ამ დომენში ორგანიზაციის კომპიუტერების გაწევრიანება და ერთიანი მართვა</li> <li>- სისტემასთან მუშაობის წესების შექმნა (პოლიტიკის შემუშავება)</li> <li>- ქსელური სერვისების ინსტალაცია და ბაზისური მართვა(WEB,FTP, Mail)</li> </ul>  |

|                                 |  |  |
|---------------------------------|--|--|
|                                 |  | - ქსელების და ქსელური ოპერაციული სისტემების ბაზისური უსაფრთხოების ორგანიზება   |
| <b>დასკვნის გაკეთების უნარი</b> | შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.   | აქვს უნარი, აწარმოოს ტექნიკური საშუალებების მონიტორინგი. დაზიანების შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში შეუძლია მათი დამუშავება და აღმოფხვრა დამოუკიდებლად ან საჭიროების შემთხვევაში მეტად კვალიფიცირებული სპეციალისტების ხელმძღვანელობით დაზიანების აღმოფხვრის სამუშაოებში მონაწილეობა. აქვს უნარი, მიიღოს მონაწილეობა ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კომპლექსურ უზრუნველყოფაში. |
| <b>კომუნიკაციის უნარი</b>       | შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება. | შეუძლია არასტაბილურ გარემოში კომპიუტერულ სქელებისა და სისტემების ექსპლუატაციასა და სერვისთან დაკავშირებულ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე. შეუძლია კომპიუტერულ ქსელებთან და სისტემებთან დაკავშირებული ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება.   |
| <b>სწავლის უნარი</b>            | შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.  | აქვს უნარი, დამოუკიდებლად შეისწავლოს თანამედროვე მულტი-სერვისული ქსელების შესაძლებლობები ახალი სერვისებით მომხმარებლების უზრუნველყოფის მიზნით; დამოუკიდებლად განსაზღვროს, თუ რა მიმართულებით აპირებს სწავლის გაგრძელებას.  |
| <b>ღირებულებები</b>             | პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.  | აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები: შეუძლია თანამედროვე, მულტი-სერვისული ქსელებისა და შემდეგი თაობის ქსელების სისტემების შეუფერხებელი მოქმედების უზრუნველყოფა; იცის თავისი პროფესიული მოვალეობები და პასუხისმგებლობით ეკიდება მათ შესრულებას.   |

**კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღწერი**

|   |   |   |
|---|---|---|
| <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>               | <p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>                     | <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- შეუძლია საშუალო და დიდი კორპორაციული ქსელების დაპროექტება, მართვა და მონიტორინგი</li> <li>- ქსლის და სერვისების უსაფრთხოების ორგანიზება</li> <li>- კომუტაციის და მარშუტიზაციის (VRF) ვირტუალიზაცია</li> <li>- ვირტუალური კერძო ქსელების დაპროექტება და მართვა (VPN)</li> <li>- გლობალური მარშუტიზაციის პროტოკოლის მართვა (BGP)</li> <li>- მე-6 ვერსიის (IPv6) პროტოკოლის გამოყენებით მარშუტიზაცია</li> <li>- ქსლში პრიორიტეტების მართვა (QoS)</li> <li>- უკაბელო ქსელების ორგანიზება და მართვა</li> <li>- ქსლური ოპერაციული სისტემები (Windows Server 2008, Linux)</li> <li>- Windows Server 2008 სისტემით დომეინური სისტემის ორგანიზება, მართვა და მონიტორინგი</li> <li>- სისტემების და მონაცემების არქივირება და აღდგენა</li> </ul> |
| <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> | <p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად</p>  | <p>შეუძლია;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- Windows Server 2008 სისტემის სრულფასოვნად ადმინისტრირება</li> <li>- Linux სისტემის სრულფასოვნად ადმინისტრირება</li> <li>- Web, Mail, Ftp, Active directory, IIS server, DHCP სერვისების მართვა.</li> <li>- OSPF, EIGRP, BGP, IS-IS, მარშუტიზაციის პროტოკოლების გამოყენება და მართვა</li> <li>- STP, VLAN, VTP, VPN, VRF სერვისების გამოყენება და მართვა</li> <li>- სისტემის და სერვისების უსაფრთხოების ორგანიზება</li> </ul>   |
| <p><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>            | <p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p> | <p>აქვს ტექნიკური საშუალებების დაზიანების შესახებ ინფორმაციის მიღება-დამუშავება და დაზიანების პროფესიონალურად აღმოფხვრისათვის საჭირო სამუშაოების განხორციელების უნარი; შეუძლია კომპიუტერული ქსელური სისტემების გაუმართაობის მიზეზების იდენტიფიცირება და დასკვნის გაკეთება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კომპლექსურ უზრუნველ-ყოფაში.</p>  |



|                                  |   |   |
|----------------------------------|---|---|
| <p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p> | <p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა</p> | <p>ფლობს პროფესიულ ტერმინოლოგიას; შეუძლია კომპიუტერულ ქსელებსა და სისტემების შესახებ ინფორმაცია და საკუთარი მოსაზრებები თანამიმდევრულად და არგუმენტირებულად გადასცეს სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს; მსჯელობისას ეყრდნობა რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებს; უცხოურ ენაზე შეუძლია შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის გადაცემა.</p> |
| <p><b>სწავლის უნარი</b></p>      | <p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>  | <p>აქვს უნარი, ახალი ტექნოლოგიების დასაწერად დამოუკიდებლად შეისწავლოს ქსელური მოწყობილობების მუშის პრინციპები. ახალი კომპიუტერული სიტემები დანერგოს ყოველდღიურ საქმიანობაში; შეუძლია, დამოუკიდებლად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, პროფესიული განვითარებისა და დასაქმების პერსპექტივები და დაგეგმოს საკუთარი შემდგომი განათლება.</p>                                 |
| <p><b>ღირებულებები</b></p>       | <p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>  | <p>აფასებს გულისხმიერ დამოკიდებულებას კლიენტებისა და პარტნიორების მიმართ; იცავს კომპიუტერულ ქსელებსა და სისტემებში უსაფრთხოების წესებს და უფრთხილდება ჩამოყალიბებულ ღირებულებებს. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. ფლობს ადამიანური რესურსების მენეჯმენტს. ითავისებს პროფესიის ინტელექტუალურ ღირებულებებს.</p>  |